ოქმი:**ო31.31220681**

თარიღი:**09/03/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი 04. 03. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნინო ჭანტურიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარის **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, სოლიდარობას და თანადგომას უცხადებენ გმირ უკრაინელ ხალხს. მშვიდობა უსურვა უკრაინას და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში დასრულდება ეს საშინელი ომი, რომელსაც უკრაინელ ჯარისკაცებთან ერთად ეწირება ასეულობით მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ბავშვებიც. მან მიმართა დარბაზში მყოფთ, რათა წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ დაღუპული უკრაინელების ხსოვნას.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით.
საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი“- ს მე-2 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) სხვა ისეთი ხარჯები, რომელთა დაფინანსება არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით და რომელიც კანონით აკრძალული არ არის.“

დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების ჩამონათვალი რიგ შემთხვევებში არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე აუცილებლად გასაწევი ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობას.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა გაამახვილოს რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, არის ინფორმაცია, რომ გარკვეულ ოჯახებში იმყოფებიან უკრაინიდან ჩამოსული ადამიანები. კარგი იქნება, მოხდეს კოორდინაცია, რაც გააადვილებს მათთვის საჭიროებების მიხედვით გარკვეული დახმარების გაწევას. ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ გავრცელებული ინფორმაციით რუსი და ბელორუსი მოქალაქე მასობრივად შემოდის საქართველოში, რაც ძალიან ყურადსაღებია და აუცილებელია ძალოვან სტრუქტურებთან ერთად კოორდინირებული მუშაობა, რადგან არ შეიქმნას ამ ადამიანების მხრიდან რაიმე არასწორი ქმედების საშიშროება. საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე ასევე შეეხო ლანჩხუთში ალტ-ინფოს მიერ ოფისის შესაძლო გახსნას და აღნიშნა, რომ მათ ზოგიერთ მუნციპალიტეტში ამის უფლება არ მისცეს და გამოაძევეს. არც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არ უნდა დაუშვან მათი ოფისის გახსნა. ხელისუფლებას ამ კუთხით გააჩნია სხვადასხვა ბერკეტი, რომელიც ამ კონკრეტულ სიტუაციაში უნდა გამოიყენონ, რადგან იყო შემთხვევები, როცა შეთანხმების მიუხედავად, მეპატრონეებმა ენმ-ს უარი უთხრეს ოფისისთვის ფართის მიქირავებაზე.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავის მხრივ მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს და თანადგომას და სოლიდარობას უცხადებს გმირ უკრაინელ ხალხს. ამის შემდეგ, მან წინადადებით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში ანალოგიური შემთხვევების გათვალისწინება მოხდება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდიდან, სავარაუდოდ 10-15 ათასი ლარის ფარგლებში მოხდება დახმარების გაწევა. საომარი მოქმედებების შედეგად სიტუაცია უკრაინაში ყოველდღიურად მწვავდება და მძიმდება. აქედან გამომდინარე, არა არის გამორიცხული, რომ შესაძლებლობის გავალისწინებით, უფრო მეტი დახმარების გაწევა გახდეს საჭირო.

საკრებულოს წევრების მიერ დადგნილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N8 (04.03.2022)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2800, ლანჩხუთი, მ.კოსტავას #37, ტელ: 0494223005

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

4 მარტი **2022** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11⁰⁰	
2	ემზარ თევდორაძე	12⁰⁰	
3	ვერიკო კვირკველია	გვიან	
4	გიორგი ჩახვაძე	11⁵⁵	
5	გიორგი ხელაძე	11⁵⁵	
6	ალექსანდრე მახათაძე		
7	ზაზა წულაძე	11⁵⁰	
8	კარლო კვიტაიშვილი	11⁵⁵	
9	გიორგი იმნაიშვილი	11.57.	
10	ია მოქია	გვიან	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე	11:55:	
13	ვლადიმერ ნანაძე	11⁰⁰	
14	კარლო წილოსანი	11⁵⁶	
15	ლოლიტა ურუშაძე	12⁰⁰	
16	ნინო მშვიდობაძე	12⁰⁰	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11:54	
19	გიორგი გოგუაძე	11.00	
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	კახა თედორაძე	11⁵⁵.	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11:40	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ციწცაძე	11:50	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11÷55	